24 დეკემბერი, 2013, თბილისი

ევროკავშირი ხელს უწყობს საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელს

მრგვალი მაგიდა ენერგეტიკის მარეგულირებელ კომისიაში

19 დეკემბერს, ხუთშაბათს, ელექტროენერგიის გამანაწილებელი კომპანიების „თელასისა“ და „ენერგო პროს“ წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში გამართულ დისკუსიაში მრგვალი მაგიდის გარშემო.

დისკუსია შედგა „თვინინგის“ პროექტის *„ელექტროენერგიის წამახალისებელი სატარიფო მეთოდოლოგია“* ფარგლებში, რომლის ბიუჯეტი € 1,1 მლნ ევროა. პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ. 21 თვის განმავლობაში სემეკს სატარიფო მეთოდოლოგიის დახვეწის შესახებ რეკომენდაციებს გაუწევენ კოლეგა ორგანიზაციები: E-Control (ავსტრია), BNetzA (გერმანია) და PUC (ლატვია), ასევე ავტრიის ენერგეტიკული ბირჟა EXAA.

ავსტრიის მარეგულირებელი ორგანოს თანამშრომლებმა ლეო კამერდინერმა და როლანდ გორლიჰმა წარმოადგინეს შემოთავაზებული მეთოდოლოგიის საკვანძო საკითხები. განხილულ იქნა „ხარჯები პლუს“ და წამახალისებელი რეგულირების, ასევე WACC (კაპიტალის საშუალოო შეწონილი ღირებულება)-ისა და შედარებითი ანალიზის სხვადასხვა ასპექტი. მოწვეულმა ექსპერტმა დევიდ ჰოლდერნმა ისაუბრა რეგულირების რეჟიმში მომსახურების ხარისხის სტანდარტების გათვალისწინების შესახებ.

სემეკის თავმჯდომარემ ირინა მილორავამ და კომისიის წევრმა გოჩა შონიამ, რომელიც პროექტის ლიდერია ქართული მხრიდან, აღნიშნეს, რომ წარმოდგენილი შეფასებები და მოსაზრებები განხილული იქნება მოქმედ სატარიფო მეთოდოლოგიაში ცვლილებების შეტანის პროცესში.

ამ ღონისძიებით პროექტი დასასრულს უახლოვდება. ახალი სატარიფო მეთოდოლოგიის შემოღებით, რაც 2014 წელს იგეგმება, საქართველო კიდევ ერთ ნაბიჯს გადადგამს ენერგეტიკის რეგულირების ევროპულ სტარდარტებთან მიახლოებისაკენ.

ბატონ ჯუზეპე ვასკესს, კომუნიკაციისა და ინფორმაციის ოფიცერს,
ევროკავშირის წარმომადგენლობა
ქალბატონ ესტერ შულეს, პროექტის მუდმივ უცხოელ მრჩეველს

პროექტს ახორციელებს
E-Control
www.e-control.at

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია

ჩეჩელაშვილის 26
ქუთაისი, 4600, საქართველო
ტელ.: +995 43 1 256122
ფაქსი: +995 43 1 256121

პროექტი დაფინანსებულია
ევროკავშირის მიერ

ევროკავშირის
წარმომადგენლობა
საქართველოში

ნინო ჩხეიძის 38, თბილისი
0102 საქართველო
ტელ.: +995 32 2 943763
ფაქსი: +995 32 2 943768

ევროკომისია ევროკავშირის აღმასრულებელი ორგანოა.

„ევროკავშირი 27 წევრი სახელმწიფოსაგან შემდგარი გაერთიანებაა. მისი წევრები წლების განმავლობაში ერთმანეთს ცოდნასა და გამოცდილებას უზიარებდნენ, ახდენდნენ რესურსების მობილიზებას და ქმნიდნენ საერთო მომავალს. 50 წლის განმავლობაში ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა ერთად შექმნეს სტაბილურობის, დემოკრატიისა და მდგრადი განვითარების სივრცე. ამ პროცესში მათ შეინარჩუნეს კულტურული მრავალფეროვნება, ტოლერანტობა და ადამიანის პირადი თავისუფლება. ევროკავშირის მიზანი მის ფარგლებს გაერთ მყოფი ადამიანებისა და სახელმწიფოებისათვის სწორედ ამ მიღწევებისა და ფასეულობების გაზიარებაა.“